გასულ კვირას, 27 აპრილს, გაიმართა სსრ კავშირის 49–ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, VII ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელები ლენინგრადში შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტს“. არსებითად, ეს ლიდერთა მატჩი იყო, ვინაიდან თბილისელები ამ ტურისთვის პირველ ადგილზე იმყოფებოდნენ, ხოლო ზენიტელები – მესამეზე. ლენინგრადში ამ დღეს მზიანი ამინდი იდგა. თბილოდა. ს. მ. კიროვის სახელობის ცენტრალური სტადიონი 57 ათასმა მაყურებელმა შეავსო.

ლიდერთა შეხვედრა, მართლაც საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, განსაკუთრებით პირველი ნახევარი. ამ პერიოდში რამდენადმე გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია. როგორც სტუმრებს, ისე მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ შემცვლელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ითამაშეს. მაღალი ტემპი არ შენელებულა 45 წუთის მანძილზე. სახიფათო მომენტები ორივე კართან ხშირად იქმნებოდა. მეკარეებს – ბალაძეს („დინამო“) და ბირიუკოვს („ზენიტი“) ხშირად უხდებოდათ თამაშში ჩაბმა. ამ ხშირ ორმხრივ იერიშებში წარმატებას ლენინგრადელებმა მიაღწიეს, 34-ე წუთზე ზუსტად ითამაშა აფანასიევმა და ანგარიში გახსნა – 1:0.

შესვენების შემდეგ, პირველ წუთებზე, ერთხანს დინამოელები უტევდნენ, მაგრამ უპირატესობამ თანდათან მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თბილისელთა თავდამსხმელებმა საგრძნობლად მოუკლეს აქტივობას. ზედიზედ რამდენიმეჯერ დაკარგეს ბურთი, რამაც საშუალება მისცა „ზენიტის“ დაცვითი ხაზების მოთამაშეებს მონაწილეობა მიეღოთ ხშირ იერიშებში. თამაშმა თანდათან სტუმრების მხარეს გადაინაცვლა.

მიმდინარეობდა მატჩის 54-ე წუთი. მასპინძლები კვლავ უტევდნენ. გერასიმოვის შორეული დარტყმა მოიგერია ბალაძემ, მაგრამ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო კანიშჩევმა და ახლო მანძილიდან 2:0–მდე გაზარდა ანგარიში.

დინამოელებმა ვერც ამის შემდეგ შეძლეს კონტრთამაშის შექმნა. უპირატესობა კვლავ ზენიტელებს ჰქონდათ, რაც კუზნეცოვის მიერ გატანილი მესამე გოლით დამთავრდა.

ბოლო 10–15 წუთის განმავლობაში თბილისელებმა რამდენადმე გააძლიერეს თამაში, საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა შეექმნათ გურულს, სვანაძეს, მაგრამ ანგარიში 3:0 „ზენიტის“ სასარგებლოდ ბოლომდე უცვლელი დარჩა.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „ზენიტი“: – ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, ტიმოფეევი, კუზნეცოვი, აფანასიევი, დოლგოპოლოვი, კანიშჩევი, გერასიმოვი, მელნიკოვი (ვორობიოვი), კლემენტიევი; „დინამო“: – ბალაძე, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია (ცაავა), კუდინოვი, ჯოხაძე, მიქაბერიძე, სულაქველიძე, გოგრიჭიანი (სვანაძე),

გაზაევი, გურული. მსაჯი – ვ. აბგოლცი (ალმა-ათა). გააფრთხილეს თ. სულაქველიძე. დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა – 2:0.

ლელო 29. 04. 1986